



საინფორმაციო ბიულეტენი #1 ივნისი - ივლისი, 2017 წელი

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

მიუხედავად იმისა რომ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაწყებული არ არის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი 1 ივნისს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს, რომელიც USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს ხელი შეუწყოს:

ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და

ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებს. საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

სავარაუდო პოლიტიკური დევნის ფაქტი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 5 ივლისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატის გოჩა კოკაიას სახლში ჩხრეკა ჩატარდა. გოჩა კოკაია მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას და შეხედულებებს უკავშირებს. გოჩა კოკაია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გლდანში მაჟორიტარობის კანდიდატად 2017 წლის 27 ივნისს დაასახელა.

საიამ აღნიშნული ფაქტი გოჩა კოკაიასთან გადაამოწმა. იგი მომხდარს პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს და განმარტავს, რომ ის მაღალი რეიტინგით სარგებლობს და ამომრჩეველთა უმრავლესობა სწორედ მისი მხარდამჭერია.

საიას წარმომადგენლებთან საუბარში გოჩა კოკაიამ აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მის სახლში გარკვეულ დოკუმენტებს ეძებდნენ, თუმცა ეს დოკუმენტები ვერ აღმოაჩინეს. ჩხრეკა 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის შემდეგაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მხოლოდ გოჩა კოკაიას მობილური ტელეფონი ამოიღეს.

კოკაიასთვის ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 5 ივლისს დილით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს თამაზ ინალიშვილი, რომელსაც გამოძიება მოქალაქე ლუკა გვაზავასთან სამხედრო სამსახურის გადავადების მიზნით ქრთამის აღებას ედავება, ხოლო მის მიმართ არსებობს კითხვები ქრთამის აღებაში დახმარებასთან დაკავშირებით. კოკაიას განცხადებით, იგი 2008 წლიდან აპარატის წამყვან სპეციალისტად მუშაობდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მტავრობის წარმომადგენლობის, აღმოსავლეთ საქართველოს ოფისში“. ამავე სამსახურში მასთან ერთად მუშაობდა თანაზ ინალიშვილიც, რომელთანაც მას 15 წლიანი მუშაობა აკავშირებს.

კოკაიას თქმით, 2017 წლის 5 ივლისს დაიკითხა მთლიანი აპარატი და თანამშრომლების უმრავლესობა იმ სამსახურისა, სადაც თავად მუშაობდა და კითხვები ძირითადად მის საქმიანობას უკავშირდებოდა. მისი განმარტებით, მას დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო დაჩქარებულად ჩატარებული საგამომიებო მოქმედებები კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ შესაძლოა მიმდინარეობდეს პოლიტიკური დევნა და ყოველივე ეს განპირობებულია მისი პოლიტიკური აქტივობით.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გოჩა კოკაია გლდანში მაჟორიტარობის კანდიდატად 2017 წლის 27 ივნისს დაასახელა. როგორც კოკაიამ საიას წარმომადგენლებთან საუბარში განმარტა, კანდიდატად წარდგენის შემდეგ მას გამუდმებით უთვალთვალებდნენ. მან არაერთხელ შეამჩნია, რომ მის საცხოვრებელ სახლთან და ოფისთან „შკოდას“ ფირმის ავტომობილები იყვნენ მობილიზებულნი, რაც აძლევს ეჭვის საფუძველს, რომ აღნიშნული ავტომობილები მიეკუთვნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

საია აგრძელებს საქმის მიმდინარეობის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარმოუდგენს.

ძალადობის ფაქტი ახალციხეში

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 16 ივლისს თავდასხმა განხორციელდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის, ბეგლარ კაპანაძისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ. ამავე ინფორმაციით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლითაა აღძრული, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ძალადობისთვის.

დაზარალებულები თავდასხმაში ბრალს პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, ახალციხის მერის ყოფილ მოადგილეს, ახალციხის მაჯორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს, ზაზა გელაძესა და დასუფთავების სამსახურის უფროსს, გიორგი ლონდარიძეს სდებენ.

ბეგლარ კაპანაძე იხსენებს, რომ ფიზიკურ დაპირისპირებამდე, თავდამსხმელებმა მას პოლიტიკური წარსული და „ნაციონალურ მოძრაობაში“ მუშაობა შეახსენეს. შემდეგ კი ფიზიკურად გაუსწორდნენ, როგორც ბეგლარ კაპანაძეს, ასევე მის მამასა და შვილებს, რომლებიც ოჯახის წევრის დასახმარებლად ადგილზე მივიდნენ. დაზარალებულები განმარტავენ, რომ ინციდენტში დაახლოებით 9-12 ადამიანი მონაწილეობდა. მათი ინფორმაციით გამოძიებამ დაკითხა დაზარალებულები და ასევე, ჩატარდა ექსპერტიზა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებით, ბეგლარ კაპანაძე 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ ურაველში კანდიდატად უნდა დაასახელოს, რაც „ქართული ოცნების“ აქტივისტებისთვის გახდა ცნობილი და მას თავს დაესხნენ, რათა დააშინონ. თავის მხრივ, მომხდარს განცხადებით გამოეხმაურა „ქართული ოცნება“ და სამართალდამცავებს მოუწოდა დროული რეაგირება მოახდინონ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

18 ივლისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაზარალებულებს; ასევე დაკავშირება მოხდა ინციდენტში სავარაუდოდ მონაწილე პირებთან - ზაზა გელაძესა და გიორგი

ლონდარიძესთან, თუმცა ამ უკანასკნელებმა საიას წარმომადგენლებთან საუბარი არ ისურვეს.



ახალციხეში მომხდარ ძალადობრივ ინციდენტთან დაკავშირებით საიამ განცხადება გაავრცელა და საგამოძიებო ორგანოებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლისა და მისი ოჯახის წევრებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტი სწრაფი, ობიექტური, სრულყოფილი გამოძიებისაკენ მოუწოდა, რათა გამოკვლეულიყო ქმედების პოლიტიკური მოტივი. ამასთანავე, ორგანიზაციამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს, თავი შეეკავებინათ ძალადობისა და დაპირისპირებისაგან, აგრეთვე ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც წაახალისებდა ძალადობას.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა პასუხისმგებლობაში ხუთი პირი მისცეს. 2017 წლის 3 აგვისტოს სასამართლომ ხუთი პირი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ოთხს 3000 ათაში ლარი, ერთს გირაოს სახით 5000 ლარი შეეფარდა.

საიამ აღნიშნული ფაქტების შესახებ განცხადებით მიმართა უწყებათაშორის კომისიას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმის შესწავლა სთხოვა, რათა წინასაარჩევნო პერიოდში გამორიცხული იქნეს ნებისმიერი ზეწოლა და პოლიტიკური ნიშნით დევნა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიმართ.

ძალადობის ფაქტი თბილისში

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მოწოდებული და ასევე მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში დიდი დიღომში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატად დასახელებული დავით ლაგვილავას საარჩევნო შტაბის წინ ძალადობრივ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. პარტიაში ფიქრობენ, რომ აღნიშნული ინციდენტი გამიზნული იყო მათი წინასაარჩევნო კამპანიის ხელის შეშლისათვის, მხარდამჭერების, აქტივისტებისა და მომხრე ამომრჩევლების დაშინებისათვის და იმ პირთა ზეწოლისათვის, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ მათ მხარდაჭერას.

საიას წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატს, დავით ლაგვილავას. როგორც ლაგვილავამ საიას წარმომადგენლებთან საუბარში განმარტა, მომხდარი ინციდენტი შესაძლოა უკავშირდებოდეს დიდ დიღომში საბურთალოზე მერობის კანდიდატის ზალიკო უდუმაშვილის სტუმრობას და შეხვედრას მოსახლეობასთან.

დავით ლაგვილავას შტაბის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა თანამშრომლებთან, ლაშა ხურცილავასა და ბადრი ხიდაშელთან ერთად იმყოფებოდა ოფისის გარეთ, რა დროსაც მათთან მივიდა 2 უცნობი პირი, რომლებიც სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

უცნობმა პირებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ენმ-ს წევრებს პარტიული ნიშნის გამო და ბოთლი მოუქნიეს ბადრი ხიდაშელს, რომელსაც მომხდარის მეორე დღეს ჩაუტარდა ექსპერტიზა.

ინციდენტს მოგვიანებით შეესწრო თავად დავით ლაგვილავაც, რომელმაც ადგილზე პატრული გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ თავმდამსხმელები ხელმეორედ დაბრუნდნენ პარტიის ოფისში, ამჯერად უკვე შენობაში შევიდნენ, სადაც მათი დაკავება მოხდა. თუმცა ისინი იმავე საღამოს გაათავისუფლეს. როგორც ლაგვილავასთვის არის ცნობილი, მომხდარის შესახებ მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის საფუძველზე. გამოძიების დეტალები მისთვის უცნობია, გარდა იმისა, რომ გამოძიება ელოდება ექსპერტიზის პასუხს.

საია აგრძელებს საქმეების მიმდინარეობის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარმოუდგენს.



საარჩევნო დავა - საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა, ისარგებლებს რა კონსტიტუციით და „საარჩევნო კოდექსით“ მინიჭებული შესაძლებლობით, მიმართეს საარჩევნო ადმინისტრაციას, რათა გორის ქალაქისა და თემის საზღვრებში შექმნილ ოლქებში გაეცლოთ რეგისტრაცია დამოუკიდებელი კანდიდატების წარსადგენად. საინიციატივო ჯგუფებმა ქალაქ გორის მერობის კანდიდატად გორის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, მიხეილ ჩიტაძე, ხოლო გორის თემის მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატად გორის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, თამარ თედლიაშვილი წარადგინეს. კერძოდ:



საინიციატივო ჯგუფების არგუმენტით, საარჩევნო კოდექსის 133-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მათ უფლება ჰქონდათ საოლქო კომისიებისათვის რეგისტრაციის მოთხოვნით მიემართათ. ისინი აცხადებდნენ, რომ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული იყო საინიციატივო ჯგუფებისათვის რეგისტრაციის ბოლო ვადა - კენჭისყრამდე არაუგვიანეს 57-ე დღე, თუმცა, კოდექსით არაფერი იყო

ნათქვამი რეგისტრაციის ზედა ზღვარზე, თუ როდიდან შეეძლო საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციისთვის მიემართა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის.

იმ არგუმენტით, რომ არჩევნების დანიშვნის თაობაზე სამართლებრივი აქტი გამოცემული არ იყო და არ იყო დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდი (საარჩევნო პერიოდი და საარჩევნო პროცედურების განხორციელება), ასევე არ იყო ცნობილი არჩევნების (კენჭისყრის) დღე, ორივე ოლქის შემთხვევაში, საინიციატივო ჯგუფებს საოლქო კომისიებმა უარი უთხრეს რეგისტრაციაზე. საოლქო საარჩევნო კომისიების უარი, საინიციატივო ჯგუფებმა ცესკოში გაასაჩივრეს. მათი მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვას, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფები დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იყვნენ პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით, რომელთა საარჩევნო რეგისტრაციასაც საარჩევნო ადმინისტრაცია იმავე პერიოდში ახორციელებდა. ცესკომ ქვემდგომი კომისიის პოზიცია გაიზიარა და საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილებები საინიციატივო ჯგუფებმა სასამართლოში გაასაჩივრეს.

აღსანიშნავია, რომ გარდა საინიციატივო ჯგუფებისა, მაგალითად ოზურგეთსა და მცხეთაში საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის არასამთავრობო ორგანიზაციებმაც მიმართეს, რომელმაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის თანახმად, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია მოითხოვეს. იმ არგუმენტით, რომ მიმართვის მომენტისათვის, არჩევნების თარიღი არ იყო ცნობილი და არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი

აქტი არჩევნების თარიღის განსაზღვრის თაობაზე, ისევე როგორც საინიციატივო ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციასაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.



აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით #987-II საქართველოში არსებული 12 თვითმმართველი ქალაქიდან 7 ქალაქის სტატუსი გაუქმდა. დადგენილება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს შვეა ძალაში. თუმცა მანამდე, საარჩევნო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციამ 2017 წლის არჩევნებისათვის შექმნა საარჩევნო

ოლქები და განსაზღვრა მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები. მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, გორის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა 2 საარჩევნო ოლქი, ქალაქ გორისა და გორის საარჩევნო ოლქები. ანუ ცესკოს განკარგულებით ცალ-ცალკე ოლქები შეიქმნა ცალკე თვითმმართველი ქალაქისთვის და ცალკე მუნიციპალიტეტის თემისთვის. თუმცა, მოგვიანებით, მანამ სანამ პარლამენტის დადგენილება ძალაში შევიდოდა, ცესკომ ახალი განკარგულებით ცვლილებები შეიტანა „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქების შექმნის, მათი საზღვრების, სახელწოდებებისა და ნომრების განსაზღვრის თაობაზე“ #49/2017 განკარგულებაში და ოლქების ჩამონათვალი, ნომრები და საზღვრები დაადგინა, რომლის მიხედვითაც ზემოჩამოთვლილი ორ-ორი ოლქის მაგივრად თითო საარჩევნო ოლქი შეიქმნა იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც პარლამენტის დადგენილების საფუძველზე გაერთიანდა. აღნიშნული, ასევე, გასაჩივრდა სასამართლოში ააიპ „ცენტრი მომავლის ინიციატივების“ მიერ.

საარჩევნო დავა - სოციალური რეკლამა VS პოლიტიკური რეკლამა

2017 წლის 24 მარტს, „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2“-ის ეთერში გავიდა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სარეკლამო რგოლი, რომლის მონაწილეებიც არიან პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველოს“ ცნობილი სახეები. სარეკლამო რგოლი ეხება დაუნის სინდრომის მქონე მოქალაქეების უფლებებს და თანასწორობის პრინციპებს, თუმცა პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი საარჩევნო აგიტაციის ნიშნების შემცველ განცხადებას აკეთებს: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ თქვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. ასევე, პოლიტიკური გაერთიანების კიდევ ერთი ლიდერი ამბობს: „ჩვენ ერთად უნდა გადავდგათ ნაბიჯები ევროპული საქართველოსკენ“, რითაც მინიშნებას აკეთებს პოლიტიკური პარტიის სახელწოდებაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მტკიცებით ვიდეო რგოლი შეიცავდა აგიტაციის ნიშნებს.

კომისიამ არ გაიზიარა რუსთავი-2 ის არგუმენტები ვიდეორგოლის სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსების შესახებ და მიიჩნია, რომ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლი შეიცავდა პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს და ემსახურებოდა პოლიტიკური მოძრაობის რეკლამირებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა პასუხისმგებლობა არ დააკისრა.

რუსთავი 2-მა კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა.

საია აკვირდება მიმდინარე სასამართლო დავას და ინფორმაციას საზოგადოებას სასამართლოს

გადაწყვეტილების თაობაზე, მიღებისთანავე წარუდგენს.

ინკლუზიური საარჩევნო გარემო

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საინიციატივო ჯგუფის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტში გენდერული კვოტების საკანონმდებლო ინიციატივის წარსადგენად საჭირო 37 000 ხელმოწერა შეიტანა.

საკანონმდებლო ინიციატივა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური პარტიები ვალდებული იქნებიან საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით დააკომპლექტონ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. აგრეთვე, იმ შემთხვევაში კი, თუ არჩეულ წევრს რაიმე მიზეზით შეუწყდება დეპუტატის უფლებამოსილება, მაშინ დეპუტატის მანდატს იმავე სქესის, რიგით მომდევნო კანდიდატი მიიღებს.



კონფერენცია საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით

საიას ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია - „2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული გამოცდილება და სამომავლო ნაბიჯები 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის.“ კონფერენციაში მონაწილეობდნენ საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები.



კონფერენციაზე მსჯელობა წარიმართა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებისას საკანონმდებლო და პრაქტიკის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და მათ გადაჭრის გზების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს დამკვიდრებას.

საიამ საკუთარი მიგნებები და რეკომენდაციები წარმოადგინა 5 ძირითადი თემატური მიმართულებით:

- წინასაარჩევნო, არჩევნების დღე და შემდგომი პერიოდის დარღვევები (წინასაარჩევნო აგიტაცია, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და სხვა);
- არჩევნებში ჩართული უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, აუდიტის სამსახური, უწყებათშორისი კომისია და სხვა) საქმიანობა;



- ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების ხელშეწყობა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ;
- სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.

კონფერენციის დასასრულს მონაწილეებმა წარმოადგინეს ძირითადი მიგნებები და ერთიანი ხედვები, რომელიც იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და მიგნებების მიხედვით, შესაძლებლობას მოგვცემს როგორც საკანონმდებლო, ასევე არსებული მანკიერი პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით დავგეგმოთ სამომავლო ნაბიჯები სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

ქსელური შეხვედრები საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან

საიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქსელური შეხვედრების ციკლი დაიწყო. შეხვედრები საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვადასხვა მხარეებთან: საარჩევნო სუბიექტებთან, სახელმწიფო უწყებების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ხორციელდება.

ამ ეტაპისთვის შეხვედრები რუსთავის, გორის, ახალციხის, დუშეთის, თელავისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში მოქმედ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა.

შეხვედრებზე საუბარი წინასაარჩევნო გარემოსა და არსებულ გამოწვევებს შეეხო. დისკუსია წარიმართა იმ ხარვეზებსა და მიგნებებზე, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებისას საკანონმდებლო და პრაქტიკის კუთხით გამოიკვეთა. აგრეთვე, ყურადღება გამახვილდა საიას მიმდინარე აქტივობებსა და სამომავლო გეგმაზე 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის..

პროცესების გამჭვირვალობის, კანონდარღვევების გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირების მიზნით, მონაწილე მხარეები ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. რაც დროული და დადასტურებული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობას მოგვცემს, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მივცეთ ფაქტებს, კვალიფიციური კონსულტაცია გავუწიოთ ნებისმიერ მსურველს და დავიცვათ პოლიტიკური უფლებების რეალიზება საქართველოში.

საია, საქართველოს მასშტაბით, აგრძელებს შეხვედრების ციკლს საარჩევნო სუბიექტების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ტექნოლოგიების მონაწილეობით შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელთა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით იქნა გაწეული. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მონაწილეობა მასშტაბურ საარჩევნო პროცესში ახალგაზრდა იურიდიულ ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერას.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.